

დენტალური იმპლანტოლოგია

წინასიტყვაობა

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელშიც ახალგაზრდული იერის შენარჩუნება უფრო და უფრო შესაძლებელი ხდება.

დენტალური იმპლანტოლოგია ფართოდ გავრცელებული და ამასთან, პროგრესირებადი დარგია მთელს მსოფლიოში. სამე-დიცინო ლექსიკონის თანახმად, იმპლანტატი არის “სხეულში შეყვანილი მასალა, ნივთიერება” – სხეულის არაბიოლოგიური დანამატი.

საქართველოში დენტალური იმპლანტოლოგია პრაქტიკულად ახლა იკიდებს ფართოდ ფეხს. აღსანიშნავია, რომ 1986 წელს ე.წ. ფიფიას სახელობის რკინიგზის საავადმყოფოს დაქვემდებარებულ იმპლანტოლოგიის და პროთეზირების განყოფილებაში თ. დოლიძემ პირველმა ჩაატარა იმპლანტაციის ოპერაცია ქ. კაუნასში კბილის იმპლანტაციის და პროთეზირების კურსების გავლის შემდეგ, რომელიც ჩამოაყალიბა ო. სუროვმა.

წიგნი წარმოადგენს იმპლანტოლოგიის ანბანს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ბევრს მიაჩნია, რომ დენტალური იმპლანტაციის ოპერაცია არაეფექტურია, რაც მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია მოსახლეობის არასათანადო ინფორმირებით.

ვფიქრობთ, რომ წინამდებარე წიგნი დაეხმარება მკითხველს გაანალიზოს და პასუხი მიიღოს მისთვის საინტერესო კითხვებზე, უფრო მარტივსა და გასაგებს გახდის პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობას და დაეხმარება მათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

იმპლანტატის ყველა სისტემა თავისებურებით ხასიათდება. მათი გამოყენება საჭიროა გონივრულად, მიზნობრივად და საჭიროების გათვალისწინებით. იმპლანტატების სისტემის შერჩევასა და პროთეზირებისას, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყნის კულტურას, სოციალურ პრობლემებს და ასევე, კვების ტიპს, ვინაიდან ხორცისა და ბურღულეულის პროდუქტების გადამამუშავებისას საღებავი აპარატი სხვადასხვა დატვირთვის განიცდის.

იმპლანტოლოგს უნდა გააჩნდეს კარგი მანუალური ჩვევები, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნება, შრომისმოყვარეობა, პაციენტისადმი თანაგრძობა. ექიმი უნდა ფლობდეს ქირურგიის და ორთოპედიის თანამედროვე ტექნოლოგიებს. დენტალური იმპლანტოლოგია მოითხოვს დიდ პასუხისმგებლობას, რომელსაც არამარტო მომდიმარი და მადლიერი სახეები, არამედ გამოსწორებადი წარუმატებლობები მოსდევს.

წიგნში მოცემულია ინფორმაცია ბოლო ათწლეულების განმავლობაში გამოცდილი და განზოგადოებული მეცნიერული ცოდნისა და პრაქტიკის შესახებ. იმედი გვაქვს, რომ ეს სახელმძღვანელო გაადვილებს პროფესიულ ინტერესს.

ავტორები გეგმავენ, რომ წიგნი ითარგმნოს და გამოიცეს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების თხუთმეტივე ენაზე.

ლეონარდ ი. ლინკოვი თავის წიგნში “კბილის პროთეზების გარეშე” წერს: “იტალიაში ჩავატარე არანაკლებ ორმოცი სემინარი იმპლანტაციის შესახებ, მათ გამონათქვამი მოიფიქრეს, რომელიც ასე უღერს - “როდესაც იმპლანტატი შედის ძვალში, იგი ხდება პაციენტის სულის ნაწილი”. ჩვენი ზრით, სწორედ ეს სიტყვები ავვირგინებთ ზემოთქმულს.

შინაარსი

1. “კბილის იმპლანტაციის” ზოგადი დახასიათება. ისტორიული მიმოხილვა.
2. კბილების იმპლანტაციის და პროთეზირების სოციალური ასპექტები.
3. კბილის იმპლანტატების წარმოებისთვის გამოყენებული მასალა.
4. იმპლანტატის ზედაპირის მომზადება.
5. კბილთა იმპლანტატების კონსტრუქცია.
6. ქსოვილების რეაქცია იმპლანტაციაზე.
7. დენტალური იმპლანტაციის ჩვენებები და უკუჩვენებები.
8. პაციენტის გამოკვლევა და მკურნალობის დაგეგმვა იმპლანტატებზე დაყრდნობით კბილების პროთეზირებისას.
9. იმპლანტატის შერჩევა.
10. პაციენტის მომზადება დენტალური იმპლანტაციისათვის.
11. იმპლანტაციის ოპერაციის ჩატარების და ორგანიზაციის ზოგადი პრინციპები.
12. ოპერაციის შემდგომი პერიოდი და დროებითი ჩივილები.
13. სხვადასხვა სისტემის იმპლანტატთა გამოყენების მეთოდები.
14. სხვა ტიპის იმპლანტატების დაყენება.
15. იმპლანტატებზე პროთეზირების ბიომექანიკური თავისებურებანი.
16. პროთეზისათვის მასალის შერჩევა.
17. პირის ღრუს მოვლა იმპლანტაციისა და პროთეზირების შემდეგ.
18. წარმატება, შესაძლო შეცდომები და გართულებები.
19. გამოყენებული და რეკომენდებული ლიტერატურის ნუსხა.
20. ცნობები ავტორების შესახებ.
21. უცხო სიტყვათა განმარტებები.